



❖ სამედიცინო დახმარება

ბუმტები არ გავუხსნათ! – ანუ გვხვდება ერთი მარტივი შეკითხვა, რომელიც ხშირად მოსწავლეებისათვის მაინც დამაბნეველია. კითხვა ეხება „კანის მე-2 ხარისხის დამწვრობა“-ს და მის შედეგად წარმოქმნილ ბუმტებს. დააჭირეთ პასუხს „**ბუმტები არ გავუხსნათ!**“;

გვაქვს ორი ტიპის სისხლდენა:


1. არტერიული, რომელიც მოედინება პულსირებული ნაკადით
2. ვენური - მოედინება სუსტი ნაკადით

სხვადასხვა ინფორმაცია, რაც არ უნდა დაგავიწყდეთ:



- ცხვირიდან სისხლდენისას, თავს ვაწვევინებთ მკერდისკენ.
- გოგირდის დამწვრობისას - ყველაზე ეფექტურია წყლის უხვი რაოდენობით გადაერეცხოს...
- ტრამპული შოკის დროს - დავალევინოთ თბილი სასმელი (როცა შეკითხვა სწორედ ტრამპულ შოკზე მოგივათ, მოძებნეთ პასუხი, სადაც წერია „დავალევინოთ თბილი სასმელი“)
- გულის წასვლის შემთხვევაში - ფეხები წამოვუწიოთ, რათა სისხლი წავიდეს ტვინისკენ
- პულსაციის შემოწმება - ყოველ 2-წუთში ერთხელ.
- თუ დაზიანდა ზურგის ტვინი, ეს იმას ნიშნავს, რომ დაზავებული ვეღარ ამოძრავებს კიდურებს. თუ შეკითხვაში დევს პირობა, რომ დაზავებულს **არ დაზიანებია** ზურგის ტვინი და ამ შემთხვევაში, რა შეიძლება იყოს ხერხემლის მალეების ტრავმების სიმპტომები? „**ვერ ამოძრავებს კიდურებს**“ გამორიცხეთ და მონიშნეთ: **აქვს ტკივილი, რომელიც მატულობს ხელით შეხებისას**
- არტერიული სისხლდენისას - სიცოცხლისათვის აუცილებელი რაოდენობის სისხლი - 10-15 წუთში დაიკარგება.
- უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზავებულისათვის, თუ არ გვაქვს მიზნად მისი დახრჩობა, დაუშვებელია რაიმე სახის პრეპარატის მიცემა.



თუ არსებობს ეჭვი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაშავებულის კისრის ან ხერხემლის დაზიანების შესახებ და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, როგორ უნდა მოხდეს დაშავებულის გადატრავით გადაადგილება დახმარებს ბარეშა (ერთი ადამიანის მიერ)?




- მართალია აღნიშნული ორი ილუსტრაცია ზუსტად არ ასახავს კითხვის პასუხებში აღწერილ შემთხვევებს, მაგრამ სწორ გზას და იდეას ნამდვილად გვაპოვებინებს. აქვე დავძენ, რომ სურათზე მოცემული შეკითხვა ზუსტი საგამოცდო კითხვის ციტირებაა.
- არტამანი არის ჯოხი, რომელსაც იყენებენ ფეხის ან რაიმე კიდურის მოტეხილობის დროს. მაგალითად, ფეხის მოტეხილობისას დამავებულ ფეხზე ორივე მხრიდან უნდა დავადოთ არტამანი და გადავუხვიოთ ბინტით. თუ არ გვაქვს ადგილზე არტამანის დასამზადებელი მასალა, მაშინ დამავებულ და ჯანსაღ ფეხს გადავუხვევთ ბინტის სახვევით.

არტამანი თუ გვაქვს	თუ არ გვაქვს
	



მასალის ავტორი: დავით ოძელაშვილი @ემსისთვის | datunaodzelashvili@gmail.com

- არ დაგავიწყდეთ, რომ ძალიან ხშირად ორი შემთხვევის მკაფიო გამორიცხვა მიგიყვანთ სწორ პასუხამდე:
 - გამორიცხეთ იოდის ხსნარის ზედ ჭრილობაზე მოსხმა (იოდის ხსნარი გამოიყენება ჭრილობის ნაპირების დასამუშავებლად)
 - გამორიცხეთ რაიმე სახის უცხო სხეულების მოცილება (ეს ხომ ქირურგიულ საქმეს განეკუთვნება, ჩვენ კი - პირველად სამედიცინო დახმარებას ვსწავლობთ)
- გთავაზობთ ადამიანის ჩონჩხს. გთხოვთ, დააკვირდეთ და დაიმახსოვროთ რომელ კიდურშია წარმოდგენილი ორი ძვალი. აქვე დაიმახსოვრეთ, რომ ისეთ ადგილებში, სადაც ორი ძვალია, არაფრით არ შეიძლება ლახტის მოჭერა
 -



დასკვნა სურათის განხილვის შემდეგ:
ლახტის მოჭერა არ შეიძლება იდაყვის ქვემოთ მტევნამდე და ასევე, არ შეიძლება წვივზე.

თუ დაზიანება სწორედ აღნიშნულ 2 ადგილას გვაქვს, პირველ შემთხვევაში, ლახტს მხართან მოვუჭერთ, მეორე შემთხვევაში კი, ბარძაყზე. (იხილეთ წითელი რგოლები)

შეგახსენებთ, რომ ლახტი სისხლდენის შესაჩერებლად და მისი ზოგადი განმარტებაა, რომ უნდა მოეჭიროს ჭრილობის ზემოთ.



- ცხვირიდან სისხლდენის შესაჩერებლად:



როგორ უნდა განხორციელდეს ტრანსპორტირება ან დაშავებულის მოთავსება?		
ზურგზე	გვერდზე	მჯდომარე ან ნახევრად-მჯდომარე
<ol style="list-style-type: none"> 1. მუცლის არეში ჭრილობის დროს 2. გულისწასვლისას, + წამოვუწიოთ ფეხები 3. მენჯისა და ბარძაყის მოტეხილობა + მუხლებქვეშ ამოვუდოთ ბალიში 4. ხერხემლის დაზიანება - ვაწვენთ სწორ და მაგარ ზედაპირზე 5. თვალის დაზიანება - წამოვუწიოთ თავი 	<ol style="list-style-type: none"> 1. თავის ტვინი, თავის ქალისა ან თავის თმის ადგილის დაზიანების დროს 2. გუმკერდის გამჭოლი ჭრილობა (ვაწვენთ ჯანმრთელ გვერდზე) 	<ol style="list-style-type: none"> 1. ლავიწის ძვლის მოტეხილობა 2. ნეკნებისა და მკერდის ძვლის მოტეხილობა 3. ცხვირიდან სისხლდენა - თავი დახრილი მკერდისკენ

დასკვნა:

- თუ დაზიანება გვაქვს თავის შემთხვევაში (გარდა თვალისა) ვაწვენთ გვერდულად. ამას დავუმატოთ გამჭოლი ჭრილობის შემთხვევაც..
- თუ დაზიანება გვაქვს კუჭის ზევით, ვსვამთ მჯდომარე ან ნახევრადმჯდომარე მდგომარეობაში, ამას დავუმატოთ ცხვირიდან სისხლდენა